ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37222031**
თარიღი:**22/07/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიამ, შეისწავლა და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ჭანიეთურის, ციხისფერდის და კონჭკათის) მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, გზის ბეტონის საფარით მოწყობის შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფმა ადგილზე გასვლით, შეისწავლა აღნიშნულ განცხადებაში მოცემული წინადადების განხორციელების მიზანშეწონილობა და დაადგინა:

1. აღნიშნული ტერიტორიის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სარეაბილიტაციო გზა არის შიდა სასოფლო დანიშნულების. (1000 გრძ/მ). რომელიც მდებარეობს ციხისფერდის ტერიტორიაზე, ცენტრალური გზიდან ბაილეთის საზღვრამდე. (ცენტრალური გზა მოასფალტებულია, ბაილეთის მხარეს კი ბეტონის საფარი არის მოწყობილი).

2. აღნიშნული გზა არის ჭანიეთურის, ციხისფერდის და კონჭკათი ყველაზე მოკლე გზა ქალაქის მიმართულებით. ასევე 3 სოფლის საზიარო სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, სადაც მდებარეობს ეკლესია - მონასტერი.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ციხისფერდის ტერიტორიაზე აუცილებელია გზის საფარის მოწესრიგება, სანიაღვრე არხის მოწყობა, რაც უთუოდ გააუმჯობესებს სოფლის იერსახეს და უზრუნველყოფს მოსახელობის სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილებას როგორც ქალაქის, ისე ეკლესია-მონასტრის მიმართულებით.

2. ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამის სამსახურებს დაავალოს კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციების მომზადება ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი